

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის

ოქმი N 1

ხაშური

2019 წლის 29 იანვარი

12-30 საათი

სხდომის თავმჯდომარე: - ზვიად ტეფნაძე

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის წევრები: გიორგი ბერაია, ვაჟა ხარშილაძე, ელგუჯა გოგალაძე, ლაშა ლურსმანაშვილი, მიხეილ კაპანაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სპეციალისტი რიტა ქურდაძე, საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი მურმან ცენგერაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: ალექსანდრე ჩიქოვანი-მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების ხელმძღვანელი. (მომხსენებელი)

კომისიის სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა კომისიის 6 წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი (პროექტი)

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ, მერიიდან წარმოდგენილ პროექტის განხილვა.

მომხს. ა.ჩიქოვანი

2. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების მიერ 2019 წლის იანვრის თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. ა.ჩიქოვანი

კომისიის წევრებმა კენჭი უყარეს და ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ I საკითხზე მოისმინეს მერიის ეკონომიკური

განვითარების სამსახურის მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების ხელმძღვანელის ინფორმაცია ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ მერიიდან წარმოდგენილ პროექტზე.

აზრი გამოთქვეს: ვაჟა ხარშილაძემ, ლაშა ლურსმანაშვილმა, ზვიად ტეფნაძემ.

ღია კენჭისყრით (მომხრე-6, წინააღმდეგი-0)

კომისიამ გადაწყვიტა: განკარგულების პროექტი წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ II საკითხზე მოისმინეს ალექსანდრე ჩიქოვანის ინფორმაცია ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების მიერ 2019 წლის იანვრის თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: გიორგი ბერაიამ, მიხეილ კაპანაძემ, ზვიად ტეფნაძემ.

ღია კენჭისყრით (მომხრე-6, წინააღმდეგი-0)

კომისიამ გადაწყვიტა: ინფორმაცია ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების მიერ 2019 წლის იანვრის თვეში გაწეული მუშაობის შესახებ მიღებული იქნეს ცნობად.

ანგარიში თან ერთვის (დანართი 1 ფურცლად)

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

ზ. ტეფნაძე

ანგარიში

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების მიერ 2019 წლის იანვრის თვეში გაწეული მუშაობის შესახებ


ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის, მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილება თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესახებ“ ორგანული კანონის; საქართველოს მთავრობის 08.12.2014წ. №669 და 20.02.2014წ. №189 დადგენილებების; ეკონომიკური განვითარების სამსახურის დებულების და მოქმედი კანონმდებლობების შესაბამისად. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის, მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების მიერ გატარებული ღონისძიებებისა და პროცედურების შესაბამისად 2019 წლის იანვრის თვეში დასრულდა ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების და ა(ა)იპ ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების ინვენტარიზაცია. მოქალაქეთა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების მოთხოვნათა ელექტრონულ ბაზაში 2019 წლის იანვრის თვეში შეყვანილია -1 ბენეფიციარი.

იანვრის თვეში გამოცხადდა ელექტრონული აუქციონი, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ხაშურის ცენტრალური სტადიონის დემონტაჟის შედეგად სავარაუდოდ მისაღები მეორადი გამოყენებისათვის ვარგისი სამშენებლო მასალების პრივატიზების შესახებ, აუქციონი შედგა და გაყიდული ქონების სრული საპრივატიზებო საფასური შეადგენს 68000 ლარს.

მზადდება პროექტი ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ხაშურში, იმერეთის ქუჩაზე მდებარე (ს/კ 69.08.60.366) უძრავი ქონების პრივატიზების შესახებ, მზადების პროცესშია ხაშურში, ბეჟაურის ქუჩაზე მდებარე (ს/კ 69.08.65.021) უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის მიღება.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურდიულ პირებზე გადაცემული იქნა სარგებლობის ფორმით სხვადასხვა უძრავ-მომრავი ქონება. მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილებაში 2019 წლის იანვრის თვეში მერის რეზოლუციით დაგვეწერა 240- მდე კორესპონდენცია, რომლის 95 % შესრულებულია.

ეკონომიკური განვითარების სამსახურის,
მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის
განყოფილების ხელმძღვანელი


ალექსანდრე ჩიქვიანი